სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 83

2021 წლის 3 ივნისი

ქ. თბილისი

2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების მოხსნის შესახებ

"ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N27 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 3 ივნისის სამსახურებრივი ბარათის (N517603) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის მთავარ სპეციალისტს, თამარ ბოკუჩავას წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

<u>დანართი</u>
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2021 წლის 3 ივნისის №83 ბრძანებით

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების 2021 წლის კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

№	პროექტის შიფრი	მასპინძელი დაწესებულება	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	YS-21-2892	შპს. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	რქოვანას ტოპოგრაფიაზე დაფუძნებული ფოტორეფრაქციული კერატექტომია კერატოკონუსის მქონე პაციენტებში	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩა განუხილველი
2	YS-21-334	გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	Pseudomonas aeruginosa-ს კლინიკური შტამები: პიგმენტაციის გავლენა ფაგო- და ანტიბიოტიკო-რეზისტენტობაზე	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩა განუხილველი
3	YS-21-155	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართული ტრადიციული სამუსიკო რეპერტუარის ახალი ინტერნეტ არქივის შექმნა	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩა განუხილველი
4	YS-21-696	სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აჭარაში მომუშავე მცირე მექანიზაციის მანქანების საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდა დეტალების აღდგენის რესურსდამზოგი ტექნოლოგიის გამოყენებით და მათი ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების დამუშავება.	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩა განუხილველი
5	YS-21-2248	საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი	ქართული მხატვრული კინოაფიშა - თვითმყოფადი ხელოვნების ნიმუში	დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩა განუხილველი
6	YS-21-978	გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	Streptococcus pneumoniae-ს ანტიბიოტიკო რეზისტენტობა და ფაგოთერაპიის შესაძლებლობები	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი